ხელშეკრულება ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 35 nazko/009

(მომსახურების შესყიდვა)

ქ. თბილისი 18 თებერვალი 2011 წელი

ერთის მხრივ, სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი" (შემდგომში "მზღვეველი", „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი კვირიკაძის სახით და მეორეს მხრივ, **ს.ს.ი.პ. ლ საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი** შემდგომში "დამზღვევი" „შემსყიდველი") (მ. ასათიანის ქ№9 საიდენტიფიკაციო კოდი 211324351),მისი გენერალური დირექტორის **ნატო ავალიანის** სახით, და შემდგომში ორივე ერთად "მხარეებად" მოხსენიებული, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია **დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის "ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის" კომპონენტის ფარგლებში** დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებული 1 ერთეული სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის შესყიდვა მზღვეველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით დამზღვევის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე, შემდეგი სადაზღვევო რისკებისაგან:

1.1.1. ავტოტრანსპორტისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანება (4.1.1. პუნქტში მითითებული რისკების შედეგად); ხანძარი, აფეთქება; დაზღვევის საგნის გატაცება, გატაცების მცდელობა (კერძოდ: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა), გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული გამონაკლისებისა;

1.1.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე; კერძოდ, დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომა;

1.1.3. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა. სერთიფიკატში (პოლისში) მითითებული ლიმიტის ფარგლებშიდაზღვეულია მგზავრების ან/და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესებასთან ან/და გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილით მგზავრობისას დაზღვეული ავტომობილის ავტოსაგზაო შემთხვევით;

1.2. ხელშეკრულების ობიექტია: დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებული ავტომობილები: **იხ. დანართი.**

დაზღვევის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.3. წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისი. აღნიშნულ პოლისზე მთლიანად ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისის გაცემა ხორციელდება შესაბამისი განაცხადის დამზღვევის მიერ შევსებისა და მისთვის სასურველი რისკების

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

აღნიშნულ განაცხადში მითითების საფუძველზე. ხსენებული სადაზღვევო პოლისი და შესაბამისი განაცხადები იქცევა ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებად.

მუხლი 2. განსაზღვრებანი:

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
მზღვეველი (იგივე "მიმწოდებელი") – სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
დამზღვევი (იგივე "შემსყიდველი") – პირი, რომელიც დებს წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას, კერძოდ **ს.ს.ი.ჰ. ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; მოსარგებლე** – პირი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
სადაზღვევო შემთხვევა – სადაზღვევო რისკის ხდომილების შედეგად დამდგარი ზიანი, რომელიც განაპირობებს მზღვეველის ვალდებულებას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობების შესაბამისად;
სადაზღვევო თანხა – თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; სადაზღვევო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის აღდგენით და/ან შენაცვლებით ღირებულებას; თითოეული დაზღვევის ობიექტის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება შესაბამის სადაზღვევო პოლისში, რომელზედაც გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები და პირობები; დამატებით შეიძლება დაწესდეს სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტ(ებ)ი, რაც ასევე ასახვას ჰპოვებს შესაბამის სადაზღვევო პოლისში;
სადაზღვევო პრემია – თანხა, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში მისი გადახდის პირობებთან და ვადებთან ერთად და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს;
ფრანშიზა – შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, რომელზეც მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი; სხვადასხვა სადაზღვევო შემთხვევისა და თითოეული პირის მიმართ შეიძლება დადგენილი იქნას ცალ-ცალკე ფრანშიზები, რაც, ასევე, ასახვას ჰპოვებს შესაბამის სადაზღვევო პოლისში. პოლისში მითითებული ფრანშიზა გამოიქვითება ყოველ სადაზღვევო შემთხვევაში;
სადაზღვევო პერიოდი – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია ანუ დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია ინდივიდუალურ სადაზღვევო პოლისში;
სადაზღვევო პოლისი – წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;
დაზღვევის განაცხადი – მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებელი მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები.
უფლებამოსილი მძღოლი – პირი/ები, რომელიც დამზღვევის შესაბამის განაცხადსა და პოლისში განსაზღვრულია როგორც უფლებამოსილი მძღოლი და რომლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვის დროსაც დაზღვევა ძალაშია (უფლებამოსილი მძღოლი აუცილებლად უნდა იყოს 21 წლის ან მეტის და უნდა გააჩნდეს მართვის უფლებამოსილება, მინიჭებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად);
დაზღვევის საგანი – წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკებისათვის – კონკრეტული ავტოტრანსპორტი(ები), მითითებული დამზღვევის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე გაცემულ შესაბამის სადაზღვევო პოლისში; 1.1.2. პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკისათვის – უფლებამოსილი

მძღოლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა; 1.1.3. პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკისათვის – დაზღვეული ავტომობილის მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის მიყენებული ზიანი;

ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება (განადგურება) – ავტომანქანის დაზიანება 70%-ით ან მეტით ანუ სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტოტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების (ზარალის მომენტისათვის) 70%-ს ან მეტს შეადგენს;

ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება – ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ ბაზარზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის იდენტური მარკის, მოდელის და სხვა მახასიათებლების მქონე ავტოტრანსპორტის შესაძენად;

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მზღვეველი ვალდებულია:

3.1.1. განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს დამზღვევს შესაბამისი დაზღვევის პოლისი,

3.1.2. მიიღოს დამზღვევის განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;

3.1.3. შეადგინოს სადაზღვევო აქტი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

3.1.4. მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ანაზღაურებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში, ხოლო მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის (მათი მცდელობის) რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული თვის ვადაში; წინამდებარე ხელშეკრულების 1.1.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა 4.2. პუნქტით დადგენილი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც 4.2. პუნქტით გათვალისწინებულია შესაბამისი ვადა კონკრეტული შემთხვევისათვის. ამასთან, თუ დამზღვევსა (დაზღვეულს) და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო – სასამართლო გადაწყვეტილების (დაზღვეულის /უფლებამოსილი მძღოლის/ მიერ მესამე პირისათვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში.

3.1.5 მზღვეველი ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

3.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

3.2.1. გააკონტროლოს დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;

3.2.2. გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის და ზარალის ანაზღაურებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;

3.2.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;

3.2.4. სრული კონტროლი გაუწიოს მესამე პირთა სარჩელთან დაკავშირებულ კანონით გათვალისწინებულ ყველა სახის პროცედურებს;

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

3.2.5. მოახდინოს დამზღვევის დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერება და ფოტოგადაღებები, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებებში;
3.2.6. შეადგინოს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგენითი ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);
3.2.7. დამზღვევთან შეთანხმებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს დამზღვევის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;
3.2.8. მოითხოვოს დამზღვევისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ შეცვლილ ავტოტრანსპორტის ნაწილებზე, დაზღვეული ავტომანქანის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას – განადგურებულ ავტომანქანაზე, ხოლო გატაცების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში – ნაპოვნ სატრანსპორტო საშუალებაზე.
3.2.9. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რისკის ცვლილების შემთხვევაში გადაიანგარიშოს სადაზღვევო პრემია ან შეცვალოს დაზღვევის პირობები;
3.2.10. დამზღვევის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან ამ პირობებით განსაზღვრული ვალდებულებებს შეუსრულებლობის ან დაზღვევასთან დაკავშირებულ არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, გადასცეს ინფორმაცია დამზღვევის შესახებ საერთო საინფორმაციო ბაზაში, რომელზედაც ხელი მიუწვდება სხვა სადაზღვევო კომპანიებსაც;
3.2.11. უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე, თუ დამზღვევი ან რომელიმე სხვა დაზღვეული პირი რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სარჩელი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც დამზღვევი შეგნებულად ზრდის ზარალის თანხას ან აწოდებს მზღვეველს ყალბ დოკუმენტაციას;
3.2.11. ზარალის ანაზღაურების მიზნით, ავტომობილის შეკეთების ხარჯები / ზარალის ადეკვატური თანხა გადავრიცხოს პირდაპირ იმ სარემონტო/შემკეთებელი ცენტრის ანგარიშზე, საიდანაც იქნა წარმოდგენილი დამდგარი ზარალის კალკულაცია (გათვალისწინებული იქნება პოლისში აღნიშნული ფრანშიზა).
3.2.12. არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

3.3. დამზღვევი ვალდებულია:
3.3.1. განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი პირობები და ნაკსირი მოვალეობები.
3.3.2. უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი ინფორმაციით.
3.3.3. დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია.
3.3.4. წინამდებარე ხელშეკრულების დასადებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ. ავტოტრანსპორტის გასხვისება, სადაზღვევო რისკის ხარისხის გაზრდა, უფლებამოსილი მძღოლის შეცვლა-დამატება, ავტომანქანის გასაღების ან სიგნალიზაციის პულტის დაკარგვა და ა.შ.) შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყონებლივ, არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან.

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

3.3.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან დაუყოვნებლივ, აცნობოს ამის შესახებ საპატრულო პოლიციას და მზღვეველს ცხელ ხაზზე სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე (+995 22 505-111), ხოლო 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მზღვეველს შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ.
3.3.6. თავისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაუგდებლად მიიღოს ყველა შესაძლო ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად.
3.3.7. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება თავისი მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში.
3.3.8. გაუწიოს მზღვეველს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ.
3.3.9. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ.
3.3.10. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში.
3.3.11. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველსავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე, გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე.
3.3.12. ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის უსაფრთხოების დასაცავად.
3.2.13. მიანიჭოს სრული თავისუფლება მზღვეველს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება სურვილისამებრ ნებისმიერ დროს შეამოწმოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მდგომარეობა.
3.3.14. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს მზღვეველს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს.
3.3.15. აღჭურვოს დაზღვეული ავტოტრანსპორტი სიგნალიზაციით; ავტოტრანსპორტის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში ჩაკეტოს იგი და ჩართოს სიგნალიზაცია.
3.3.16. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.
3.3.17. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მე-3 მუხლის 3.3.5. პუნქტის შესაბამისად;
ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
გ) შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით; საგზაო შემთხვევისას – ცნობა საპატრულო პოლიციიდან დაწესებული ფორმით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი და თარიღი, ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები; ასევე, საგზაო შემთხვევის სქემა.
დ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო (ტექპასპორტის) მოწმობის ასლი; ორიგინალი კი – ქურდობის, ასევე, სრული განადგურების შემთხვევაში;
ე) მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

ვ) სადაზღვევო შემთხვევის მომენტში დაზღვეული ავტომობილის მძღოლის სიფხიზლის ცნობა;
ზ) შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;
თ) დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელთაც დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება აქვთ (საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვა);
ი) თუ დაზარალებული მესამე პირის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სხვა პირი იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას, გარდაცვალების შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტია სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში;
კ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულსა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით – ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთა ჯანმრთელობის/სიცოცხლის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო
განხილვის ეტაპზე თავად სცნობს სარჩელს ან მის ნაწილს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;
ლ) მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი;
მ) თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეული მესამე პირის ქმედებით, მზღვეველს უნდა წარმოუდგინოს ასეთი მესამე პირის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
ნ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომანქანა არ წარმოადგენს დამზღვევის (მოსარგებლის) საკუთრებას ანუ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობაში მესაკუთრედ სხვა პირი არის მითითებული – ასეთი პირის წერილობითი განცხადება მოსარგებლისათვის ანაზღაურების მიღების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;
3.3.18. იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტს გააჩნია ერთზე მეტი ქარხნული გასაღები (სიგნალიზაციის პულტი), რაც მითითებული უნდა იყოს დამზღვევის განაცხადში, დამზღვევს (დაზღვეულს) ექსპლუატაციაში უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ეგზემპლიარი, ხოლო დანარჩენი ეგზემპლიარები შეინახოს საიმედო ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია გატაცების რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოიხსნას ნაკისრი ვალდებულებები. ამასთანავე, დაზღვეული ავტოტრანსპორტის ქურდობის შემთხვევაში დამზღვევმა უნდა წარმოადგინოს დაზღვევის განაცხადში მითითებული ყველა გასაღები და სიგნალიზაციის პულტი, ხოლო ძარცვა, ყაჩაღობის შემთხვევაში – სათადარიგო გასაღებ(ებ)ი და პულტი (ასეთი მითითებისას განაცხადში), წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი, ასევე, იტოვებს უფლებას, მოიხსნას ნაკისრი ვალდებულებები.
3.3.19. მუდამ თან იქონიოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა და არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს იგი ავტოტრანსპორტში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ქურდობის, ძარცვის და/ან ყაჩაღობის შემთხვევებში.
3.3.20. დაფაროს საგზაო შემთხვევის გამო ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხსენებული თანხა დააკლდება მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების სახით გასაცემ თანხას.

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

3.3.21. თუ დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული, დამზღვევი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს მზღვეველის ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, ანუ თუ დაზღვეული ინტერესი რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხები ჯამში ზარალის მომენტისათვის საბაზრო ღირებულებას აჭარბებს, მზღვეველები დამზღვევის წინაშე ვალდებულნი არიან, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია დამზღვევთან გაფორმებულ შესაბამის დაზღვევის ხელშეკრულებაში (სადაზღვევო პოლისში), მაგრამ დამზღვევს არ აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

3.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

3.4.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

3.4.2. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 4. დაზღვევის პირობები

4.1. - I ნაწილი - ავტოტრანსპორტისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანება; ხანძარი, აფეთქება; დაზღვევის საგნის გატაცება, გატაცების მცდელობა (კერძოდ: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა), გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული გამონაკლისებისა

4.1.1. მზღვეველი განახორციელებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ფრანშიზისა და წინამორბედ შემთხვევებზე (ასეთის არსებობისას) გაცემული თანხების (ანაზღაურების) გამოკლებით, ავტოტრანსპორტის გატაცების ან გატაცების მცდელობის (კერძოდ, ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის) დროს ან იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის ან მისი ნაწილების დაზიანება ან განადგურება გამოწვეულია შემდეგით:

ა) ავტოსაგზაო შემთხვევა;

ბ) ქურდობა, ყაჩაღობა;

გ) ხანძარი, აფეთქება;

დ) მესამე პირთა ბოროტგანზრახული ქმედება, ვანდალიზმი, საგნების ვარდნა;

ე) სტიქიური მოვლენები (წყალდიდობა, დიდთოვლობა, ატმოსფეროში ბუნებრივი პროცესებით გამოწვეული ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, მეწყერი, ღვარცოფი, გარდა მიწისძვრისა და სეტყვის);

ვ) მინების, სარკეების, დეტალებისა და აქსესუარების დაზიანება ან/და ქურდობა (ნულოვანი ფრანშიზით);

4.1.2. ავტოტრანსპორტის სრული განადგურების, ქურდობის ან გატაცების შემთხვევაში, მზღვეველი მისივე არჩევანის შესაბამისად აუნაზღაურებს დამზღვევს/მოსარგებლეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენით ან შენაცვლებით ღირებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით. სადაზღვევო ანაზღაურება შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი წესით:

ა) მზღვეველი გადაიხდის თანხას არაუმეტეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებისა ზარალის მომენტისათვის, პოლისში მითითებული ფრანშიზის გამოკლებით,

ბ) ან: მზღვეველი დამზღვევის სასარგებლოდ შეიძენს განაცხადში მითითებული მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების შესაბამის ავტოტრანსპორტს (ასეთ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია აუნაზღაუროს მზღვეველს ფრანშიზის ოდენობა ავტომობილის გადმოცემამდე).

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

4.1.3. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაზიანებული ავტომობილის აღდგენა, მზღვეველს უფლება აქვს, სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოქვითოს დაზიანებული ავტომობილის ნარჩენი ღირებულება (სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის საბაზრო ფასი).
4.1.4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემით მზღვეველი თავისუფლდება დამზღვევის წინაშე მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან გადახდილი თანხის ფარგლებში.
4.1.5. ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში მოქმედებს სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგი წესი: სადაზღვევო შემთხვევის დადასტურების შემდგომ და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან, რომ ზარალის (მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/ შეცვლის ხარჯები) შეფასება ხდება ურთიერთშეთანხმებით, ზარალის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასებიდან გამომდინარე, მხარეთა წარმომადგენლების მიერ, კერძოდ: ან დამზღვევი წარუდგენს მზღვეველს იმ ხარჯების ჩამონათვალს, რომლებიც საჭირო იქნება ავტოტრანსპორტის შესაკეთებლად (აღსადგენად), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი არ დაეთანხმება წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვას, იგი, თავისი უფლებამოსილი ექსპერტის მეშვეობით განახორციელებს ხარჯების ობიექტურ კორექტირებას ამორტიზაციისა თუ სხვა არსებით გარემოებათა გათვალისწინებით; ან მზღვეველი თავად წარუდგენს დამზღვევს მზღვეველის უფლებამოსილი ექსპერტის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვას. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ავტომობილის ასაკი არ აღემატება 3 (სამი) კალენდარულ წელს, ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯის განსაზღვრისას დავეყრდნობით ლიცენზირებული სარემონტო ცენტრის კალკულაციას.
4.1.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი აანაზღაურებს დაზიანებული ავტომობილის შეკეთების ხარჯებს ან რეალური ზარალის ადეკვატურ თანხას. ამ თანხას გამოაკლდება ფრანშიზა. ყოველი სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ სადაზღვევო თანხა მცირდება გადახდილი ზარალის და ფრანშიზის ოდენობით (თუ ასეთი არსებობდა და შემდგომში სადაზღვევო თანხა აღდგენილი არ იქნა). სადაზღვევო თანხის აღდგენა შესაძლებელია დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე;
4.1.7. დაზიანებული ან/და დაკარგული აქსესუარებისათვის თანხის ანაზღაურება მოხდება სადაზღვევო შემთხვევამდე ამ აქსესუარების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს მისი სადაზღვევო თანხისა;
4.1.8. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი იღებთ კომპენსაციას დამნაშავე პირისგან და ეს კომპენსაცია აღემატება ფრანშიზის ოდენობას, სადაზღვევო ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ამ კომპენსაციასა და ფრანშიზას შორის სხვაობის ოდენობით.
4.1.9. ზარალის შეფასების აქტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის შემდეგ დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომლითაც მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობაზე, რის შემდეგაც ანაზღაურების თანხა, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, გადაირიცხება დამზღვევის (მოსარგებლის) მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე.
4.1.10. გარდა ზემოაღნიშნულისა, ნაწილობრივი დაზიანებისას მზღვეველი აანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეთანხმებულ შემკეთებელ პუნქტამდე გადაყვანის ხარჯებს.
4.1.11. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველის სურვილითა და მხარეთა ხელმოწერები: ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს მზღვეველი ფარავს;

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს დამზღვევი ფარავს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველისა და დამზღვევის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.
4.1.12. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო ღირებულებაზე (საბაზრო ღირებულებაზე) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, მაშინ, მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების (საბაზრო ღირებულების) შეფარდების შესაბამისად (პროპორციულად).
4.1.13. სრული განადგურების ან გატაცების/ქურდობის რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელ თანხას დააკლდება ასეთი მომენტისათვის დამზღვევის მიერ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობისას) თანხა. ავტომობილის ჩანაცვლების შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია აუნაზღაუროს მზღვეველს დარჩენილი გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ნაწილი (ასეთის არსებობისას).
4.1.14. თუ სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება განვადებით და სადაზღვევო შემთხვევა დადგა პრემიის სრულ გადახდამდე და ზარალის ოდენობა აღემატება სადაზღვევო თანხის 40%-ს, სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოიქვითება გადაუხდელი პრემიის ოდენობა.

4.2. II ნაწილი - სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე
4.2.1. თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტით (რომელსაც მართავდა უფლებამოსილი მძღოლი), რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება, სხეულის დაზიანება ან რაიმე სახის ქონებრივი ზარალი, მაშინ, მზღვეველი აუნაზღაურებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ხარჯებს იმ პირს (ან მის სრულუფლებიან კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიხედვით.
4.2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი:
- დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;
- მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო ლიმიტის 20%-ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო მზღვეველთან შეთანხმებული;
- დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;
- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვით მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;
სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ ანაზღაურების ლიმიტს, გამოანგარიშდება შემდეგი წესით:
- მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში – მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

ა) ხელფასი (დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო შეიქმნა, მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის მანძილზე მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;
ბ) სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე სხვა დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;
გ) ხელფასის (დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით); მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის მანძილზე მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;
- თუ მესამე პირ(ებ)ს ქონებრივი ზიანი მიადგება, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:
ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – დაკარგული/დაზიანებული ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულების ოდენობას, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი ნამსხვრევების, რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია, ღირებულების გამოქვითვით;
ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს;
4.2.3. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამოდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების, ასევე, მესამე პირთა ქონების ხელყოფის შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი სადაზღვევო შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით.
4.2.4. სადაზღვევო პოლისში სხვა ქვე-ლიმიტის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობა იზღუდება ამგვარი ქვე-ლიმიტის გათვალისწინებით;
4.2.5. ერთი შემთხვევით გამოწვეული დანაკარგი განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. არავის აქვს უფლება, ორჯერ მიიღოს ანაზღაურება წინამდებარე დაზღვევის თანახმად, ერთი და იგივე ზიანისთვის ან ზიანის რომელიმე ელემენტისათვის;
4.2.6. მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით ამ დაფარვისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურების ლიმიტს;
4.2.7. **გამონაკლისს** მოცემული სახის დაფარვისათვის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს:
ა) პირს, რომელიც უბედური შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტოტრანსპორტს;
ბ) დაზღვეული პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს;
გ) დაზღვეულის ხელქვეითს მათ შორის არსებული ხელშეკრულების ძალით.
დ) დამზღვევის ქონებისათვის მიყენებული ზიანი;
4.2.8. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი, ასევე, პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოშობილია ნებისმიერი სხვა კონტრაქტის ან შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებისა.

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

4.3. III ნაწილი – მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა

4.3.1. დაზღვეულად ითვლება დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი მგზავრი, მძღოლის ჩათვლით. დაზღვევის სერთიფიკატში (პოლისში) მითითებული ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება ხარჯები, დაკავშირებული დაზღვეულის/დაზღვეულების (მგზავრების ან/და მძღოლის) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესებასთან ან/და გარდაცვალებასთან, რაც გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილით მგზავრობისას ავტოსაგზაო შემთხვევით და გამოვლინდება სადაზღვევო შემთხვევიდან არაუგვიანეს **ერთი თვის** განმავლობაში.
4.3.2. თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდება/გარდაიცვლება ერთზე მეტი პირი, ხოლო ჯამური ზარალი გადაჭარბებს პოლისის ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურება ყოველი მხარის მიმართ მოხდება პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში).
4.3.3. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოვითხოვოთ სამედიცინო ინფორმაცია იმ ექიმებისგან, რომლებსაც დაზღვეულისთვის სხვადასხვა დროს ჩაუტარებიათ სამედიცინო გამოკვლევა ან მკურნალობა, მიუხედავად ჩივილის მიზეზისა. დაზღვეული ვალდებულია, ნება დართოს ექიმს, გადმოგვცეს ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია;
4.3.4. ანაზღაურების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს სამედიცინო და სხვა სახის ოფიციალური დოკუმენტები. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში შესაძლოა, დავნიშნოთ ექიმი/ექსპერტი სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად.

მუხლი 5. საერთო გამონაკლისები
მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი:

5.1. სადაზღვევო შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი არ გამოიყენებოდა იმ მიზნით, რომელიც მითითებული ან აღნიშნული იყო დაზღვევის განაცხადში;
5.2. სადაზღვევო შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეულ ავტოტრანსპორტში იმყოფებოდა მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც ხელს უშლიდა მანქანის მართვას ან საფრთხეს უქმნიდა დაზღვეულ ავტოტრანსპორტში მყოფი ნებისმიერი პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ნებისმიერი სახის ქონების უსაფრთხოებას;
5.3. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დიზაინზე, დეფექტური მასალების გამოყენებაზე და სხვა ბუნებრივ თვისებებზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას;
5.4. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯებზე;
5.5. მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნზე ან ამით გამოწვეულ ავტოტრანსპორტის დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამზღვევისათვის წინასწარ არ იყო ცნობილი აღნიშნულის შესახებ;
5.6. უშუალოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბურავებზე მიყენებულ დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, თავის მხრივ, გამოწვეული არის იმ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით, რომლის გამოც, დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის ნაწილობრივი და სრული განადგურების რისკზე;
5.7. დაზღვეული ავტოტრანსპორტის კუთვნილი ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის ქურდობაზე ან დაზიანებაზე;
5.8. უბედურ შემთხვევაზე, დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი იმყოფებოდა დაზიანებულ და მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში;

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

5.9. წინამდებარე ხელშეკრულებასა და სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა რომელიმე სხვა რისკზე;
5.10. იმ ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს დაზღვეული პირის საკუთრებას, მინდობილობით ინახება მასთან, ან რომლის გადაზიდვა ხორციელდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ანდა ზარალი გამოწვეულია დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;
5.11 სადაზღვევო შემთხვევაზე, 21 წელზე ახალგაზრდა მძღოლის (ასევე, მძღოლის, რომლის ასაკი აღემატება 70 წელს) ან/და მართვის უფლებამოსილების არ მქონე მძღოლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვისას;
5.12. სადაზღვევო შემთხვევაზე, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ, გარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტისათვის ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით მიყენებული დაზიანებისა;
5.13. სადაზღვევო შემთხვევაზე ავტოტრანსპორტის გამოყენებისას მგზავრთა/ტვირთის გადაყვანის მიზნით ან ავტოტრანსპორტის გაქირავებისას, თუ ამგვარი გამოყენება არ არის მითითებული პოლისში;
5.14. სადაზღვევო შემთხვევებზე, ავტოტრანსპორტის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვისას, გარდა სპეციალურ ავტოსადგომებზე მომხდარი შემთხვევებისა;
5.15. სადაზღვევო შემთხვევაზე, რომელიც მოხდა ავტოტრანსპორტის მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს;
5.16. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე;
5.17. გარემოებებზე, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ;
5.18. არ იფარება ზარალი, თუ ამ დროს დაზღვეულ ავტომობილში ან ავტომობილზე დატოვებულია გასაღები და/ან ავტომობილის ტექნიკური პასპორტი, დაწეულია მინები და/ან ღიაა კარი;
5.19. გაუფასურება, ამორტიზაცია, ცვეთა, მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით/რისკებით, რაც არ არის გათვალისწინებული (დაფარული) ამ ხელშეკრულებით;
5.20. კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლა არასადაზღვევო შემთხვევის შედეგად;
5.21. რეაქტიული თვითმფრინავის ან სხვა საფრენი აპარატით წარმოქმნილი ტალღით გამოწვეული დაზიანება;
5.22. სახელმწიფო ორგანოების დავალებით გამოწვეული დაზიანება/ზარალი;
5.23. არ დაიფარება ქურდობით/ყაჩაღობით გამოწვეული ზარალი, თუ ქურდობის/ყაჩაღობის მომენტისთვის დაზღვეულ ავტომობილში ჩვენი მოთხოვნით დამონტაჟებული და/ან სადაზღვევო პოლისში მითითებული გატაცების საწინააღმდეგო სისტემა არ არსებობს ან არ არის გამართულ მდგომარეობაში;
5.24. ზარალი, გამოწვეული მექანიკური ანდა ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლით; არ ანაზღაურდება აგრეთვე კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებით გამოწვეული ხარჯები, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;
5.25. ნებისმიერი ისეთი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯი, რაც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;
5.26. ნებისმიერი სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

5.27. ინტერიერის, სავარძლების, შალითების და ხალიჩების ცალკეული დაზიანება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დაზიანება გამოწვეულია მესამე პირთა განზრახ ქმედებით;
5.28. ტენტების, სალონის საფარი ბრეზენტების დაზიანება (თუ საგანგებოდ არ არის მითითებული დაზღვევის სერთიფიკატში);
5.29. უხარისხო გზით გამოწვეული სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის ან საბურავების ცალკეული დაზიანება.
5.30. დაზღვეული ავტომობილი გადატვირთულია ან გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში;
5.31. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი აჭარბებს საგზაო მოძრაობის წესებით დადგენილი სიჩქარის ლიმიტს;
5.32. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრაობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;
5.33. ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით;
5.34. სხვადასხვა სახის რბოლებში მონაწილება, დაზიანება ავტომობილის გამოსაცდელად გამოყენებისას (Test Drive);
5.35. ნებისმიერი ქმედებით, რომლის შედეგადაც უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ზარალის ანაზღაურებაზე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
5.36. სადაზღვევო შემთხვევებზე, რომელიც გამოწვეულია:
5.36.1. იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით და დაბინძურებით;
5.36.2. რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით;
5.37. შედეგებზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, დაპყრობით, შემოჭრით, სამოქალაქო ომით, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, მასობრივი არეულობით, აჯანყებით, ლოკაუტით, დიქტატორული რეჟიმით, უზურპირებული ხელისფლების მიერ, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციით ან ჩამორთმევით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით და სხვა ანალოგიური მიზეზებით;
5.38. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
5.39. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;
5.40. შემთხვევებზე, რომელთა დადგომის დროსაც დამზღვევს აქვს დავალიანება მზღვეველის წინაშე ანუ გადაუხდელი აქვს შესაბამისი პერიოდის სადაზღვევო პრემია.

მუხლი 6. ანგარიშსწორების წესი და პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.
6.2. ავტოტრანსპორტის დაზღვევაზე, სადაზღვევო პრემია წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად განისაზღვრება წლიური **3.30%-**ის ოდენობით.
6.3. დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის შეადგენს **35 აშშ დოლარი**, არაანაზღაურებადი მინიმუმის (ფრანშიზის) ოდენობა განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით.მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი კი შეადგენს 5 000 აშშ დოლლარს ერთ ავტომობილზე.

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

6.4. დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა ავტოსაგზაო შემთხვევისას მძღოლის და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევისათვის შეადგენს **30 აშშ დოლარი**, არაანაზღაურებადი მინიმუმის (ფრანშიზის) ოდენობა განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი კი შეადგენს **10 000 აშშ დოლარი ჯამურად და სუბლიმიტი 2000 დოლარი ერთ პიროვნებაზე.**
(ავტოტრანსპორტში მყოფ ადამიანთა მაქსიმალური რაოდენობაა 5 (ხუთი) ადამიანი).
ჰოსპიტალური მკურნალობის დროს, საწოლ დღეთა
ლიმიტი შეადგენს 360 დღეს, ხოლო მაქსიმალური თანხა თითო საწოლ დღეზე – 80 აშშ დოლარი, მაგრამ არა უმეტეს დაზღვევის სერთიფიკატში მითითებული ლიმიტისა. სხეულის სხვადასხვა ორგანოების დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურების სუბ-ლიმიტები მითითებულია სს "ჯიპიაი" ჰოლდინგის საავტომობილო დაზღვევის პირობებში;
6.5. შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან.
6.6. სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადას 14 (თოთხმეტი) დღით გადაცილების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, შევაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება დამზღვევისათვის შეტყობინების გამოგზავნის გარეშე და არ აანაზღაუროს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები.
6.7. პრემიის გადახდის გრაფიკი მიეთითება სადაზღვევო პოლისში.
6.8 ხელშეკრულების ღირებულება (პრემია) დასაზღვევი 1 ავტომობილისათვის ზემოთ მითითებული ლიმიტების გათვალისწინებით შეადგენს არაუმეტეს 1196.96 ლარს (სახელშეკრულებო თანხა დათვლილია სავალუტოთაშორისო კურსით 1.776).
6.9 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში გადახდის დღეს არსებული კურსით.

მუხლი 7. რეგრესის წესი

7.1. მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში. დამზღვევი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები), რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.
7.2. დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომელიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე უარის თქმა მზღვეველისათვის, გადასცეს ამ უკანასკნელს რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას.

მუხლი 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა მიმწოდებელი მიღება-ჩაბარე-ბის აქტის საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს სადაზღვევო პოლისს.
8.2. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან გააჩნია მის გენერალურ დირექტორის **ნატო ავალიანს.**

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო დროულად მიუწოდებელი მომსახურების 0,10%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.2. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია, "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში, დააკისროს "შემსყიდველს" პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,10%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელი" ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით;
9.4. "შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, "მიმწოდებელი" უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.

მუხლი 10. დავა და ზიანის ანაზღაურება

10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს
10.2. თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, თუ ეს გამოწვეულია გადაულახავი ძალის მოქმედებით. კერძოდ, წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან/და ქმედებებით (ფორს-მაჟორული გარემოებები), რაც უნდა იქნას დადასტურებული უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოების მიერ წერილობითი ფორმით.
11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.
მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
12.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
12.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს მისი გენერალური დირექტორი ნატო ავალიანი.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედება

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 18 თებერვლის 24 საათიდან და მოქმედებს 2012 წლის 17 თებერვლის 24 საათამდე.

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) მზღვეველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;
ბ) მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;
გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლა;
დ) თუ დაზღვევის ობიექტი აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში).;
ე) თუ დამზღვევი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;
ვ) ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში).
ზ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;
თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
14.2. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, აღნიშნულის მომთხოვნი მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს ერთი თვით ადრე, კერძოდ:
14.2.1. მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემთხვევაში იგი ვალდებულია გაუგზავნოს დამზღვევს წერილობითი შეტყობინება მის იურიდიულ მისამართზე 30 დღიანი ვადის დაცვით. სადაზღვევო პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი დაუბრუნდება დამზღვევს იმ პირობით, თუ იგი დააბრუნებს სადაზღვევო პოლისს მისი გაუქმებიდან 14 დღის განმავლობაში;
14.2.2. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემთხვევაში იგი ვალდებულია გაუგზავნოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება მის იურიდიულ მისამართზე 30 დღის ვადის დაცვით. დამზღვევს, მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაუბრუნდება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია 30 დღის განმავლობაში.
14.3. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პერიოდის მანძილზე დამზღვევს აუნაზღაურდება ზარალი, ხელშეკრულების გაუქმებისას სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება;

მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
15.2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან ქვეპუნქტის გაუქმება არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პარაგრაფის გარეშეც.
15.3. წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაეგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადფილსამყოფელის მიხედვით.
15.4. წინამდებარე ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე;
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება ამისათვის;
15.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა "დამზღვევს", მეორე კი – "მზღვეველს."

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი _____ დამზღვევი _____

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"	"დამზღვევი" ს.ს.ი.პ. ლ საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მის.: თბილისი, კოსტავას ქ.№67	მის: ქ. თბილისი მ.ასათიანის ქ. № 9
საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674	საბანკო რეკვიზიტები:
საბანკო რეკვიზიტები:	სახელმწიფო ხაზინა
სს „ბაზისბანკი"	ბ. კოდი
კოდი: TBCBGE22	ა/ა
ა/ა 6136105	ს/კოდი:
	ტელ:822 398946
გიორგი კვირიკაძე	ნატო ავალიანი
გენერალური დირექტორი	გენერალური დირექტორი

	დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის "იმუნიზაციის" კომპონენტის ფარგლებში დასაზღვევი ავტომანქანების ნუსხა						
№	დასახელება	გამოშვების წელი	ავტომანქანის ღირებულება ლარი	მესამე პირი დაზღვევა	მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა	სრული პაკეტი წლიური 3.3 %	სულ
1	HONDA CRV-V 2.4; OVO 563	2002	19605.3	62.16	53.28	646.97	762.41
2	MERCEDES-BENZ C 220 CDI; HVH 459	1998	9670	62.16	53.28	319.11	434.55
							1196.96

დამზღვევი

მზღვეველი